

ხელნაწერთა ინსტიტუტის

მ ო ა მ ბ ე

III

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ხელნაწიერთა ინსტიტუტი

# მ ო ა მ ბ ე

## III

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1961

ც. ჭურჭიაიძე

სიტყვის განმარტების ერთი ხერხი საბას ლემსიკონში

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე მუშაობის მეთოდი სათანადოდაა შესწავლილი და დამუშავებული. გარკვეულია ყველა ის გზა და წესი, რომელთაც მიმართავდა საბა ლექსიკონის შედგენისა და სიტყვათა განმარტების დროს<sup>1</sup>.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საბას მიერ ჩატარებული მუშაობა ინელად. ასახსნელი სიტყვების განმარტებათა დასაძებნად. მიუთითებენ ოთხ ძირითად ხერხზე, რომელიც მას ამ მიზნით გამოუყენებია:

1. ე. წ. „ღრმა წიგნებში“ მზამზარეული განმარტებების ძებნა და გადმოღება (ამ გზას მიმართავს ავტორი ზოგადი ცნებების განმარტებისას).

2. „სხვათა ენათა შემოწმების“ ხერხი, რაც ნიშნავს, რომ საბა სომხური, ბერძნული და ლათინური პარალელური ტექსტებისა და ლექსიკონების საშუალებით ახდენს სიტყვის მნიშვნელობის დადგენას.

3. განსამარტად აღებულ სიტყვას ავტორი ეძებს სხვა (ქართულსავე) წყაროში, რომ სიტყვის მნიშვნელობა ახალ კონტექსტში გამოჩნდეს.

4. საბა ეძებს ერთი ტექსტის ორ სხვადასხვა თარგმანს, რათა ნაცნობი სინონიმის საშუალებით ახსნას უცნობი სიტყვა<sup>2</sup>.

ჩვენი თემა ეხება უკანასკნელ, მეოთხე ხერხს, ფილოლოგიაში გავრცელებულ ე. წ. სინონიმების დაძებნის ხერხს. თემის მიზანია კონკრეტულ მაგალითებზე აჩვენოს, თუ როგორ იყენებდა საბა აღნიშნულ ხერხს.

ჩვენთვის საინტერესო მაგალითებს ისეთი სიტყვები შეადგენს, რომელთა წყაროდ ბიბლიაა დამოწმებული. როგორია ეს მაგალითები? ლექსიკონში დადანტურდა რიგი სიტყვებისა, რომელთაგან ყოველი ორი (ზოგჯერ სამიც) ერთნაირად ან ერთმანეთითაა განმარტებული, წყაროდ კი მითითებული აქვთ ბიბლიის ამა თუ იმ წიგნის ერთი და იგივე თავი და მუხლი. ჩვენთვის ცნობილი ბიბლიის ნუსხებში კი ყოველი ამ წყვილის მხოლოდ ერთი წევრი დას-

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928; წინასიტყვაობა ა. შანიძისა, გვ. III—XXXII. ილ. აბულაძე. სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. III, გვ. 253—271. ე. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტორგრაფი: ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—B, 1956, გვ. 11—40.

<sup>2</sup> ეს ხერხები დასკვნების სახით ჩამოყალიბებული აქვს ე. მეტრეველს ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, გვ. 23—24.

ტურდება. ამის გამო გაგვიჩნდა ვარაუდი: საბას ხელთ უნდა ჰქონოდა ბიბლიის სხვადასხვა რედაქციები და ერთის უცნობი სიტყვის ასახსნელად ქეორეში წარმოდგენილი სინონიმი გამოეყენებინა.

კონკრეტული მაგალითების დასახელებამდე საჭიროა აღინიშნოს შემდეგი. ცნობილია საბას ოჯახიდან გამოსული რამდენიმე ბიბლია: H—885, H—1207, A—179 და A—51 (ე. წ. მცხეთის ბიბლია). ამათგან პირველი სამი სრული არაა, თითოეული მათგანი ბიბლიის მხოლოდ რამდენიმე წიგნს შეიცავს. მცხეთის ბიბლია შედარებით სრულია. იგი სხვადასხვა ნუსხათაგან ჩანს გადმოწერილი და შედგენილი, რის გამო საბას ლექსიკონის ძირითად წყაროდაც ეს უკანასკნელი ითვლება. ბიბლიის წიგნები, რომლებიც საბას ლექსიკონში ამა თუ იმ სიტყვასთან არის დამოწმებული, აღნიშნულ პირველ სამ ხელნაწერში ან სულ არ მოიპოვება, ანდა თუ არის, საძიებელ სიტყვას თითქმის ყოველთვის იმავე სახით წარმოგვიდგენენ, როგორც მცხეთის ბიბლია. ამნაირად, ბიბლიის ეს ნუსხები ვერ მიიჩნევა ზემოთ აღნიშნული მაგალითების წყაროდ.

პროფ. ა. შანიძე საბას ლექსიკონის წინასიტყვაობაში მიუთითებს: „ძველი აღთქმის წიგნებიდან სიტყვების ჩვენებისას სულხანი ზოგჯერ იმ რედაქციას მისდევს, რომელიც ე. წ. მცხეთურ ხელნაწერშია წარმოდგენილი, ზოგჯერ კი იმას, რომელიც ათონურ დაბადებაშია დაცული და ზოგჯერაც იმას, რომელიც ქართული ბიბლიის მოსკოურ გამოცემაშია წარმოდგენილი“<sup>3</sup>. მაგალითების უმრავლესობისათვის ეს ასეა, მაგრამ ის მაგალითები, რომლებზედაც ჩვენ მიუთითებთ. ბიბლიის არც ერთ ცნობილ რედაქციაში არ დასტურდება. ჩვენს სემთხვევებში ათონისა და ნაბეჭდი ბიბლიები მცხეთის ბიბლიას უდგანან გვერდით.

მოგვყავს მაგალითები:

### 1. მხუნევიანი და ფორღელი.

„მხუნევიანი“ საბა შემდეგნაირად განმარტავს: „ესე არს თხელი პურები, ერბოთი მომწვარი, გემიერი“ ZAB<sup>4</sup>, „ქმიადი ერბოიანი“ Cab; „ქმიადი ერბოიანი, ფორღელი“ Cq.

ZABCab რედაქციებში წყაროდ ამ სიტყვასთან დასახელებულია: „იერემია 44,19“<sup>5</sup>. (ე-ს, რომელშიც პირველადაა მოცემული ეს სიტყვა, წყარო არ ახლავს. „მხუნევიანის“ სინონიმი „ფორღელი“ განსამარტავად პირველად Ca ნუსხაშია შეტანილი, განმარტებულია ერთი სიტყვით, რომ ის არის მხუნევიანი და წყაროდაც ყველგან იგივე „იერემია 44,19“ აქვს მიწერილი.

ბიბლიის ჩვენთვის ცნობილ ყველა ნუსხაში მხოლოდ „მხუნევიანი“ დასტურდა, „ფორღელი“—არა. აშკარაა, რომ საბას ხელთ უნდა ჰქონოდა ბიბლიის ისეთი ნუსხა, სადაც, „მხუნევიანის“ პარალელურად და მის შესატყვისად მისი სინონიმი „ფორღელი“ იქნებოდა წარმოდგენილი.

### 2. ველური ვირი და ვირი ველური.

ორგვე სიტყვა განმარტებულია როგორც კანჯარი და ორივესთან წყაროდ მიითითებულია „იერემია 14,6“:

<sup>3</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი..., გვ. XXVI

<sup>4</sup> ლიტერები საბას ლექსიკონის რედაქციებისათვის აღებული გვაქვს ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით გამოსაცემად მომზადებული საბას ლექსიკონის მასალიდან.

ველური ვარი 14,6 სერემ. კანჯარი  $Z\Delta a$ ; 48,6 იერემ. კანჯარი  $Ab$ . ვირი ველური 14,6 იერემ. კანჯარი  $Z\Delta$ ; კანჯარი  $B$ .

წყაროში (14,6 იერემ.) ყველგან შოლოდ „ვირი ველური“ დადასტურდა, „ველური ვირი“ კი—არა. იგი უთუოდ სხვა ნუსხაშია საძებნი.

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: სიტყვასთან ველური ვირი ლექსიკონის  $Ab$  ნუსხაში საბა უთითებს სხვა წყაროზე: „48,6 იერემია“. მართალია, წყაროში (ოლონდ ოშკის ბიბლიაში, მცხეთისაში იმ ადგილას ეს სიტყვა სულ არ არის) დასტურდება არა „ველური ვირი“, არამედ „კანჯარი“, მაგრამ განსხვავებული წყაროს დასახელება მაინცაა ერთ-ერთი საბუთი იმისა, რომ „ველური ვირი“ წამდვილად წყაროდანაა ამ სახით აღებული და არ შეიძლება იგი საბას შეთხზულად ჩავთვალოთ „ვირი ველურის“ მიხედვით.

3. ორ ერთეულადაა გატანილი ლექსიკონში აგრეთვე „ხარ-ირემის“ აღმნიშვნელი სიტყვები „ვაც-ირემი“ და „ირემ-ვაცი“, ორივე ამ სიტყვასთან. მითითებულია ერთი და იგივე წყარო: „39,1 იობ“:

ვაც-ირემი (ოთხფ.) (39,1 იობ) ხარ-ირემი  $ZAB$ ; (ოთხფ.) (39,1 იობ)  $Cab$  ირემ-ვაცი (39,1 იობ) ფრანგულში ფურ-ირემი სწერია  $Z\Delta a$ .

იობის წიგნი სრული სახით ბიბლიის მხოლოდ  $A-51$  ხელნაწერშია შემონახული. აქ კი 39 ე თავის პირველ მუხლში დასტურდება ირემ-ვაცი („ირემ-ვაცთაჲ“). რაც შეეხება ვაც-ირემს, მის წყაროდ უთუოდ იობის წიგნის სვენთვის უცნობი ნუსხა უნდა ვივარაუდოთ. ეს რომ ასე უნდა იყოს, იქიდანაც ჩანს, რომ საბას „ვაც-ირემი“ წყაროს მითითებით ადრევე ჯერ კიდევ  $C$  რედაქციაში აქვს შეტანილი. ირემ-ვაცი კი პირველად მხოლოდ  $A$  რედაქციის  $a$  ნუსხაში გვხვდება.

4. დამდამივა და მულრაობა.

ამ სიტყვებთან წყაროდ დასახელებულია: „48,2 იერემია“ და ორივე სიტყვა ლექსიკონის  $Z\Delta B$  რედაქციებში განპარტებულია როგორც „ქადილი“, მაშასადამე, ისინი საბას მიერ მიჩნეულია სინონიმებად:

დამდამივა (48,2 იერემ.) მულრაობა(ი) ქადილია  $ZAB$ ; იერემ. 48,2 „ნათესავისაგან დამდამივა დაცხრომით დაცხრომილ არს“  $C$ .

მულრაობა 48,2 იერემ. ქადილი  $ZAB$ ; ბულრაობა  $C$ . ესე არს კუროთა მიერ ყვირილი და ბრძოლა მიწისა, ვიეთნი ბულრაობას იტყვიან  $E$ .

წყაროში შემდეგი სურათი გვაქვს: „მულრაობა“ დასტურდება ბიბლიის  $A-51$ -სა და ნაბეჭდ რედაქციებში, „მხიარულება“ შეგვხვდა შესატყვისად ოშკისა და იერუსალიმის ნუსხებში.

საიდან აიღო საბამ „დამდამივა“ და არის თუ არა იგი „მულრაობის“ აინონიმი? ოშკისა და იერუსალიმის ხელნაწერებში ზემოთ აღნიშნულ მუხლში  $A-51$  ხელნაწერისაგან განსხვავებით დასტურდება სიტყვები: მეღებაჲ და მაღებება. მოვიყვანთ ამ მუხლს სამივე ხელნაწერიდან:

$A-51$ : „არლარა არს მერმე მულრაობაჲ ესებონს შინა მოაბისასა. ისიტყუნეს მის ზედა ძკრნი, მოვედით და მოვჰკუეთოთ იგი ნათესავისაგან და დაცხრომით დასცხრეს.“

ოშკი: „არლარა არს მერმე მხიარულებაჲ ესებონს შინა მოაბისასა. ზრახეს მის ზედა ძკრი. მოვედით და გამოვჰკუეთოთ იგი თესლთაგან და მეღებაჲ დაცხრომით დასცხრეს“

იერუს.: „არღარა არს მერმე მხიარულება ესებონს შინა მოაბისასა, ზრახეს მის ზედა ძკრი. მოვედით და გამოვჰქუეთოთ იგი თესლთაგან და მადლებმა დაცხრომით დაცხბრეს“.

რას ნიშნავს „მედებამ“ და „მადლებმა“ ამ კონტექსტში?

„დამდამივასთან“ ლექსიკონის (რედაქციაში მოყვანილია ციტატი წყაროდან შემდეგი შემოკლებით: „ნათესავისაგან და მდამივა დაცხრომით დაცხრომილ არს“: შდრ. ოშკისა და იერუსალიმის ნუსხებში ბოლო ფრაზა: „გამოვჰქუეთოთ იგი თესლთაგან და მადლებმა (ოშკით: მედებამ) დაცხრომით დაცხბრეს“.

ამრიგად, საბას მიერ მოყვანილი „დამდამივა“ შეეფარდება ოშკის ბიბლიის „და მედებამ-ს“ და იერუსალიმის „და მადლებმა“-ს, „და“ სამივეში კავშირია, ხოლო „მდამივა“, „მედებამ“ და „მადლებმა“ ერთმანეთის ფარდები არიან.

რა ფორმისა და მნიშვნელობის სიტყვასთან უნდა გვქონდეს აქ საკმე?

ბიბლიის არც ბერძნულსა და არც სომხურ გამოცემებში ამ სიტყვის შესატყვისი არ დადასტურდა. ებრაულსა და რუსულ ბიბლიებში კი აღმოჩნდა სიტყვა „მადმენ“ („მადმენა“), რაც ქალაქის სახელწოდებაა<sup>1</sup>.

მაშასადამე, საბას სიტყვა „მადმენ“-სახეცვლილი „მდამივად“, „და“ კავშირთან ერთად ამოუღია ბიბლიის რომელიღაც ნუსხიდან და იგი შეცდომით „მულრაობის“ სინონიმად მიუჩნევია.

5. კლიტე ლაწუთა და საკეთე.

ეს ორი სიტყვაც აგრეთვე სინონიმებს წარმოადგენს, ორივე ამოღებულია იერემიას გოდების პირველი თავის მე-2 მუხლიდან. საბა მათ შემდეგნაირად განმარტავს:

კლიტე ლაწუთა (1,2 გოდება) საკეთე ZAB.

საკეთე (1,2 გოდება) ესე არს (+ თვალის ZA) ქუთუთოს დასასრული ცრემლთა ადგილი (+ სადენი B) ZAB: (1,2 გოდება) კლიტე ლაწუთა. ქვეითის ქუთუთოს გარეშემო C.

წყაროში, ყველა რედაქციაში, მხოლოდ „საკეთე“ დასტურდება. „კლიტე ლაწუთა“ მისი სინონიმია ბიბლიის ჩვენთვის უცნობი ნუსხიდან. C რედაქციაში „საკეთე“ „კლიტე ლაწუთა“-თია განმარტებული, სხვა რედაქციებში ეს განმარტება („კლიტე ლაწუთა“) აღარ მეორდება, ალბათ იმის გამო, რომ K რედაქციიდან უკვე „კლიტე ლაწუთა“ ცალკე გაიტანა განსამარტად.

6. ხართვანელი და ხაფრთხოლი || ხაფრთხული.

სამივე ამ სიტყვასთან წყაროდ დასახელებულია „6,69 ბარუქ“. საბასთან ეს სიტყვები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

ხართვანელი (ხართვანველი C) (6,69 ბარუქ) საფრთხული ZAB; საფრთხოლი C (C-ში წყარო მითითებული არაა).

ხაფრთხოლი (6,69 ბარუქ) დასაფრთხოებელი ZAB; (6,69 ბარუქ) საფრთხული რამე Cxh.

ხაფრთხული (+ 6,69 ბარუქ ZAx) იგივე საფრთხოლი ZA; საფრთხოლი B.

<sup>1</sup>. ეს სიტყვა ებრაულ ბიბლიაში დაგვიძებნა და მნიშვნელობაც შეამოწმა მხეკალა შანიძემ (რუსულით: «Нет более славы Моавы; В Есевоне замышляют против него зло: „пойдем истребим его из числа народов“. И ты, Иадмеша, погибнешь; меч следует за тобою». Библия... СПб.. 1912 г.).

როგორც ვხედავთ, საბა „საფრთხოლს“ „საფრთხულით“ განმარტავს, „საფრთხულს“ კიდევ „საფრთხოლით“, ხოლო „სართვანელს“ ერთნაირადაც (C) რედაქციაში) და მეორენაირადაც (ZAB რედაქციებში), წყაროში კი ყველგან (ოშკურში, მცხეთურსა და იერუსალიმურში) მხოლოდ „საფრთხოლი“ დასტურდება. „სართვანელის“ არსებობა ბიბლიის რომელიღაც ნუსხაში ჩვენთვის აშკარაა.

არა თუ „სართვანელი“, არამედ „საფრთხოლის“ ფონეტიკური ვარიანტი „საფრთხულიც“ კი შეიძლება საბას ბიბლიის სხვა ნუსხიდან ჰქონდეს დამოწმებული.

ასევე ბიბლიის სამი სხვადასხვა ნუსხა უნდა ვივარაუდოთ წყაროდ შემდეგი სინონიმებისათვის:

### 7. მფარველი მუცლისა, მუცლის მფარველი, საბურველი მუცლისა.

სამივე ეს სიტყვა განმარტებულია ერთი სიტყვით: „ღუმა“ და სამივეს წყაროდ მიწერილი აქვს: „29, 22 გამოსლვათა“.

**მუცლის მფარველი** (29,22 გამოსლ.) ღუმა ZAA.

**მფარველი მუცლისა** (29,22 გამოსლ.) ღუმა ZABCab.

**საბურველი მუცლისა** (29,22 გამოსლ.) ღუმა ZABCab.

წყაროში, A—51 ხელნაწერში, დადასტურდა „დამფარველი მუცლისა“<sup>6</sup>. ოშკის ბიბლიას ეს ადგილი აკლია, იერუსალიმის ხელნაწერი კი მხოლოდ წინასწარმეტყველთა წიგნებს შეიცავს და მასში გამოსლვათას წიგნი, რა თქმა უნდა, წარმოდგენილი არ არის. ნაბეჭდ ბიბლიაში გვაქვს „საბურველი ქუსტისა“, რაც კიდევ უფრო ადვილად გვავარაუდებინებს ბიბლიის გარკვეულ ნუსხაში „საბურველი მუცლისას“ არსებობას.

### 8. აღხმალხნი და შემყოფი.

ამ სიტყვებს საბა შემდეგნაირად განმარტავს:

**აღხმალხნი** (27,16 ეზეკ.) შემყოფნი ZA: (27,16 ეზეკ.) შემყოფნი მრავალნი B; (27,16 ეზეკ.) აღხმალხნი არს შემყოფი მრავალთა ერთბირობა ქმნილი Cab.

**შემყოფი** (27, 16-17 ეზეკ.) თანამესადგომე, თანამეკარვე; მასთან მდგომი ZAB; (27, 16-17 ეზეკ.) თანამოკარვე, გინა ერთბამად მდგომნი Cab.

მცხეთურსა და ნაბეჭდ ბიბლიაში „შემყოფი“ დასტურდება, ოშკისა და იერუსალიმის ნუსხებში კი «მწირნი». „აღხმალხნი“ ეერსად ვერ დავადასტურეთ, მაგრამ იგი რომ ბიბლიის რომელიღაც პარალელური ნუსხიდან უნდა იყოს ამოღებული, იქიდანაც ჩანს, რომ ეს სიტყვა ლექსიკონში მრავლობითის ფორმითაა შეტანილი, ე. ი. იმ სახით, რა სახითაც იქნებოდა ტექსტში ხმარებული. გარდა ამისა ეს სიტყვა *აჟსამაჟს*-ის სახით (=აღხმალხს) დასტურდება შესატყვისად სომხური ბიბლიის ქოსტანტინეპოლის გამოცემაში<sup>7</sup>.

9. იმავე ეზეკიელის წიგნიდან აქვს საბას ამოღებული სიტყვა **თუკრთა**. იგი „თუკრთას“ „წყლულებად“ განმარტავს. ამ სიტყვის სინონიმი („წყლულება“) ლექსიკონში საბას ცალკე ერთეულად არ გაუტანია, მაგრამ ლექსიკონის

<sup>6</sup> „და“ „დამფარველში“ საბას შეიძლება კავშირად გაეგო და, მაშასადამე, „მფარველი მუცლისა“ სწორედ A—51 ხელნაწერიდან იყოს ამოღებული.

<sup>7</sup> აღსანიშნავია, რომ „შემყოფი“ შეგვხვდა ე. წ. მცხეთურ ბიბლიაში ეზეკიელის 27 თავის 16, 17, 27, 33 მუხლებში, შესატყვისად ოშკისა და იერუსალიმის ნუსხებში ყველგან გვაქვს „მწირი“, ხოლო სომხური ბიბლიის კოსტანტინეპოლის გამოცემაში ასევე ყველა აღნიშნულ მუხლში *აჟსამაჟს* დადასტურდა.

ZA რედაქციებში ამ სიტყვასთან გაკეთებული შენიშვნებიდან ჩანს, რომ თუკრთა და წყლულება მას პარალელურად შეხვედრია ბიბლიის ორ სხვადასხვა ნუსხაში:

თუკრთა (30,2 ეზეკ.) ძველში წყლულების ნაცვლად თუკრთა სწერია Z; (30,2 ეზეკ.) წყლულება სწერია (წყლულებაა Ab) სხვაში, ორივე ერთია A; 30,2 ეზეკია: „არა არს ადგილი შესახვეველი თუკრთა და თუ მივიდეს“ BCab. როგორც ვხედავთ, აქ საბა უთითებს რომელიღაც „სხვა“, „ძველ“ ნუსხაზე, რომლიდანაც მას „წყლულების“ შესატყვისად ხმარებული „თუკრთა“ ამოუღია.

ბიბლიის ჩვენთვის ცნობილ ნუსხებში მითითებულ ადგილას არც „წყლულება“ დასტურდება და, მით უმეტეს, არც „თუკრთა“. იქვე მე-4 მუხლში არის, „წყლულნი“, მაგრამ საბას მიერ BCab ნუსხებში დამოწმებულ კონტექსტს („არა არს ადგილი შესახვეველი თუკრთა, და თუ მივიდეს“) ამ მუხლის კონტექსტი არ უდგება (შდრ.: „მოიწვევის და იყოს მახული ეგვპტელთა ზედა და იყოს შეძრწუნებაჲ ეთიოპიას და დაეცნენ წყლულნი ეგვპტეს და დაირლუეს საყოფელნი მისნი“—ეზეკ. 30,4<sup>9</sup>). ცხადია, აქ წყაროს მითითებაში შეცდომაა. ასეა თუ ისე, ჩვენთვის შთაეარია საბას შენიშვნა მის მიერ სინონიმების დაცემის ხერხის გამოყენების შესახებ.

რაც შეეხება თვითონ „თუკრთას“, იგი უნდა წარმოადგენდეს სიტყვა „თუკრი“-ს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას მრავლობით რიცხვში. „თუკრი“-ს არსებობა ვერც ძველი ქართული ენის ძეგლებში და ვერც დიალექტებში ვერ დავადასტურებთ. მაგრამ „თუკრთა“-ს ამოსავალი ფორმა რომ „თუკრი“ უნდა აყოს, ამაზე მიუთითებს კონტექსტი, საიდანაც ამოუღია იგი საბას (იხ. „არა ირს ადგილი შესახვეველი თუკრთა“) და წოვა-თუშურის ჩვენებაც, სადაც დღეს თურმე ეს სიტყვა იხმარება და კრილობის, წყლულის შესახვევ არტახებს ნიშნავს<sup>9</sup>. წყლულებასა და წყლულის შესახვევ საშუალებას ქართულსა და წოვა-თუშურში სულ ადვილი შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე სახელი ერქვას, თუმცა კი გვეონია, რომ ზემოთ მოყვანილ კონტექსტშიც ეს სიტყვა წყლულის შესახვევი საშუალება უნდა იყოს.

10. მსგავს შენიშვნას, რაც „თუკრთასთან“ გააქეთა, საბა „საწმართულოსთანაც“ იძლევა, მას „პერიკმები“ და „საწმართულო“ ერთმანეთის სინონიმებად აქვს წარმოდგენილი და რიგვესთან უთითებს წყაროზე: „3,21 დანიელ“:

პერიკმები (+3,21 დანიელ ZAB) შალვ(ა)რები ZABC.

საწმართულო (+3,21 დანიელ A) შალვარი ZABCD.

შენიშვნა „საწმართულოსთან“ ZA ნუსხებშიც მოცემული: „ერთში საწმართულო ეწერა, მეორეში პერიკმები, ერთსა ჰქვიან ორივე“.

წყაროში მითითებულ ადგილას A—Si, ოშკისა და ნაბეკდ ბიბლიაში აღმოჩნდა „პერიკმები“ (უფრო ზუსტად „პერიკნიმები“).

როგორც უკვე მივუთითებდით, საბას ოჯახიდან გამოსული ბიბლიის ნუსხების ოშკისა და ნაბეკდი ბიბლიის გარდა მაგალითების შესამოწმებლად გამოვიყენეთ აგრეთვე ბიბლიის იერუსალიმური ნუსხაც. სწორედ ამ ნუსხაში (დანიელის 3,21-ში) აღმოჩნდა „პერიკმების“ ნაცვლად „საწმერთული“ (იგივე „საწმართულო“).

<sup>9</sup> იერუს. № 11.

<sup>10</sup> ამ სიტყვის არსებობაზე წოვა-თუშურში ცნობა მოგვაწოდა კ. კრელაშვილმა.

საგულისხმოა, რომ „საწმერთულის“ ვარდა იერუსალიმური ხელნაწერის იმავე დანიელის წინასწარმეტყველებაში ორი სხვა მაგალითიც დაეადასტურეთ.

11. სახიობა და მუსიკა.

ამ ორ სიტყვასაც საბა აგრეთვე ერთმანეთით განმარტავს. „სახიობა“-ზე იგი ამბობს, რომ „ესე არს მუსიკა“... და შემდეგ მოდის ვრცელი განმარტება (იხ. ქართული ლექსიკონი...), ხოლო „მუსიკა“-სთან — რომ „მუსიკა ლათინურია და ქართულად სახიობა ჰქვიან“. „სახიობა“ ZA რედაქციებში უთითებს წყაროზე: „3,7 დანიელ“, ეგვევ წყარო „მუსიკა“-სთან მითითებულია ლექსიკონის B რედაქციაში. ბიბლიის A—51 ხელნაწერში ამ ადგილას „მუსიკა“, „სახიობა“ აღმოჩნდა მხოლოდ იერუსალიმურ ნუსხაში.

მაშასადამე, ეს მაგალითიც იმის მანიშნებელია, რომ საბა იცნობს ბიბლიის ისეთ ხელნაწერს, რომელიც A—51 ხელნაწერის „მუსიკის“ შესატყვისად (დანიელის მე-3 თავის მე-7 მუხლი) „სახიობას“ ხმარობს.

12. საბას მიერ ბიბლიის უცნობი ხელნაწერის გამოყენებაზე მიუთითებს შემდეგი მაგალითიც: სიტყვასთან „სატრაპეზი“ (უკეთ „სატრაპესთა“) წყაროდ დასახელებულია „3,48 დანიელ“ [ხატრაპესთა (+3,48 დანიელ AB) სტრაფთა ZAB]. A—51 ხელნაწერშიც, ნაბეჭდ ბიბლიაშიცა და ოშკის ნუსხაშიც ყველგან „მარზპანი“ დასტურდება, საცბებელი სიტყვა (ე. ი. სატრაპეზი) აღმოჩნდა მხოლოდ იერუსალიმის ნუსხაში.

როგორი უნდა ყოფილიყო საბას მიერ გამოყენებული „სხვა“. „ცველი“ ბიბლია, რომლიდანაც მას ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვები ამოუღია, ჩვენთვის ცნობილი არ არის. უკანასკნელი სამი მაგალითის მიხედვით (სამივე დანიელის წინასწარმეტყველებაზე უთითებს) კი ჩანს, რომ მას ხელთ ჰქონია დანიელის წინასწარმეტყველების ისეთი ნუსხა, რომელიც იერუსალიმური ნუსხის დანიელის წინასწარმეტყველებასთან რედაქციულად ერთი უნდა ყოფილიყო.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წყაროში დასტურდება არა განსამარტი სიტყვა, არამედ ამ სიტყვის განმარტება, ოღონდ ეს განმარტება ლექსიკონში ცალკე განსამარტად აღარაა გატანილი.

13. ზღვს პირი.

ეს სიტყვა ლექსიკონის Z რედაქციასა და A რედაქციის a ნუსხაში წარმოდგენილი, წყაროდ მითითებული აქვს: „2,5 ივდით“, და განმარტებულია როგორც „ზღვს კიდე“ [ზღვს პირი (2,5 ივდით) ზღვს კიდე ZAA]. წყაროში კი (A—51, H—885 ხელნაწერსა და ნაბეჭდ ბიბლიაში; ბიბლიის სხვა ნუსხები ივდითის წიგნს არ შეიცავენ) დასტურდება არა „ზღვს პირი“. არამედ „ზღვს კიდე“, ე. ი. განმარტება ამ სიტყვისა.

14. ნიგოზაკები.

ამ სიტყვას საბა შემდეგნაირად განმარტავს: „ნიგვზის სახეები“ ZAB; „ნიგვზის სახე“ CD. წყაროდ დასახელებულია „25,33 გამოსლვათა“. და ეს წყარო მხოლოდ ZA რედაქციებშია წარმოდგენილი.

წყაროში, A—51 ხელნაწერში. აღმოჩნდა არა „ნიგოზაკები“. არამედ „მსგავსი ნიგუზისა“, აშკარაა, რომ საბას „ნიგოზაკები“ აუღია ბიბლიის ჩვენთვის უცნობი ნუსხიდან.

ოშკის ბიბლიაში შესატყვისად გვაქვს „გამოსახულნი გოგზაკებად“, ნაბეჭდში „გამოსახულნი ნიგუზებად“. წყაროში ამ სიტყვის შემცველ კონტექსტში ლაპარაკია ტაყუებზე (= მომცრო კურკელი საღვინე—საბა), რომლებიც

ნიგვზის მსგავსადაა გამოსახული: „ოთხნი ტაკუქნი გამოსახულნი ნიგუზებად“ (დაბადება. 1884 წ.). ბიბლიის ჩვენთვის უცნობ ნუსხაში, რომლიდანაც საბამ „ნიგოზაკები“ ამოიღო, „სახედ ნიგუზისას“ შესატყვისად იქნებოდა „გამოსახულნი ნიგოზაკებად“. „მსგავსი ნიგოზაკებისა“ ან სხვა რამ მსგავსი გამოთქმა, ასე რომ „ნიგვზის სახეები“ ან და „ნიგვზის სახე“ არ არის განმარტება „ნიგოზაკებისა“.

#### 15. მარჯუნით საცმელი.

ეს სიტყვა ლექსიკონის ZAB რედაქციებში განმარტებულია როგორც „ქალთ სამკლავე“, CAB-ში: „სამკაულია მარჯვენეს მკლავისა“. CqDE-ში კი განუმარტავია. ZABC რედაქციებში მას წყაროდ მიწერილი აქვს: „მ. 211 ესაია“. ბიბლიის არც A-51-ში, არც ნაბეჭდსა და არც ოშკის ნუსხებში ეს სიტყვა არ დასტურდება. „მარჯუნით საცმელის“ ნაცვლად აქ გვაქვს „სამარჯუნები“ ცხადია, საბას „მარჯუნით საცმელის“ წყაროდ ჰქონია ჩვენთვის უცნობი ნუსხა. იერუსალიმის ნუსხაში შესატყვისად გვაქვს „სამკლავე“, რაც გვაფიქრებინებს, რომ საბას ამ სიტყვის განმარტებაც („ქალთ სამკლავე“) რომელიღაც პარალელური ნუსხიდან უნდა ჰქონდეს აღებული.

ამგვარად. ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, რომ საბას ლექსიკონზე მუშაობის დროს ფართოდ გამოუყენებია სინონიმთა დაძებნის ხერხი. უცნობ სიტყვათა უკეთ განმარტების მიზნით მას მიუმართავს ბიბლიის სხვადასხვა ხელნაწერისათვის და ერთი ხელნაწერიდან ამოღებული უცნობი სიტყვებისათვის განმარტებად მიუწერია სინონიმები მეორე ხელნაწერის პარალელური ადგილებიდან.

ის ფაქტი, რომ ზემოთ მოყვანილი სინონიმური წყვილების გარკვეული ცალგები წყაროში მითითებულ ადგილას არ დადასტურდა, გვაფიქრებინებს, რომ საბას ბიბლიის ცნობილი ნუსხების გვერდით ხელთ უნდა ჰქონოდა ჩვენთვის უცნობი ერთი სხვა ნუსხაც.

ხსენებულ სიტყვათაგან რამდენიმე ფორღელი, კლიტე დაწუთა, სარ თვანელი, ალხმალხი. თუკრაჰა ← თუკრი - მეტად იქვიათი ხმარების სიტყვები ჩანს. მათი არსებობა ჯერჯერობით ვერც ბიბლიაში და ვერც ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებში ვერ დავადასტურეთ. ეს კი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამ უცნობი ნუსხის სახით საქმე გვაქვს ბიბლიის ცნობილ რედაქციათაგან განსხვავებულ დამოუკიდებელ რედაქციასთან.

### II. И. КУРЦИКИДЗЕ

## ОБ ОДНОМ СПОСОБЕ ТОЛКОВАНИЯ СЛОВ В СЛОВАРЕ СУЛХАН-САБА ОРБЕЛИАНИ

### Резюме

Сулхан-Саба Орбелиани в своем словаре наряду другими способами истолкования значения незнакомых слов часто пользуется методом поиска синонимов. Автор исходит из данных различных рукописей Библии; незнакомое слово, которое встречается в одной рукописи, истолковывается при помощи синонимов, встречающихся в соответствующих местах в других рукописях.

Ввиду того, что указанные синонимные выражения не всегда заведены в известные рукописи Библии, можно допустить, что Сулхан-Саба Орбелиани пользовался рукописью неизвестной для нас редакции Библиейского текста.